საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-711

10/08/2020

ქ. თბილისი

შპს „ბურჯის“ საწარმოო საქმიანობაზე (საქმიანი ეზოს ტერიტორია-ასფალტბეტონის ქარხანა, ქვის სამტვრევები, ბეტონის კვანძები და სადურგლო საამქრო) 2004 წლის 11 მაისს გაცემული №10 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმების შესახებ

2020 წლის 3 აგვისტოს სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „ბურჯის“დირექტორმა და ითხოვა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება.

2004 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შპს „ბურჯის“ საქმიანობაზე (საქმიანი ეზოს ტერიტორიაზე განთავსებული საწარმოო ობიექტები-ასფალტბეტონის ქარხანა, ქვის სამტვრევები, ბეტონის კვანძები და სადურგლო საამქრო) გაიცა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (დასკვნა №10; 11.05.2004) და გარემოსდაცვითი ნებართვა, თუმცა მინისტრის შესაბამისი ბრძანება გამოცემული არ არის. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პერიოდისთვის დასკვნები გაცემულია შესაბამისი ბრძანების გარეშე, განმცხადებლის მომართვის საფუძველზე ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ საწარმო აღარ ფუნქციონირებს. შესაბამისად, ითხოვს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „ბურჯის“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „ბურჯის“ საქმიანობაზე (საქმიანი ეზოს ტერიტორიაზე განთავსებული საწარმოო ობიექტები-ასფალტბეტონის ქარხანა, ქვის სამტვრევები, ბეტონის კვანძები და სადურგლო საამქრო) საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2004 წლის 11 მაისს გაცემული №10 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ბურჯს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ბურჯის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი